ანტიკორუფციული ბიურო

ბრძანება

№72

08/12/2023

2024 წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18[1] მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 8 მარტის №1 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის შეიქმნას დამოუკიდებელი კომისია და მისი შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
   ა. ალექსანდე კუხიანიძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
   ბ. ნინო დოლიძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
   გ. გიორგი დავითური (- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;
   დ. თამარი ხუხია ( ) - ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
   ე. ქეთევან შოშიაშვილი (- ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი
რაჟდენ კუპრაშვილი

0114 თბილისი, ინგოროყვას ქ.N7
info@acb.gov.ge